



თავდაცვის ინსტიტუტური აღმშენებლობის სკოლა  
კურსების კატალოგი

## პერსონალური და საჯარო ინფორმაციის მართვის კურსი

### მიზანი:

სამინისტროს თანამშრომელთა ინფორმაციის თავისუფლებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

### განსახილველი საკითხები:

#### I ეტაპი:

- ინფორმაციის თავისუფლება;
- საჯარო ინფორმაციის დამუშავება;
- საჯარო ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვა;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ზოგადი მიმოხილვა;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №219'
- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, პერსონალურ მონაცემთა დაცვა;
- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- პერსონალურ მონაცემთა კანონიერად დამუშავების წინაპირობები;
- მონაცემთა სუბიექტის უფლებები;
- მონაცემთა დაცვის ევროპული კანონმდებლობა;
- პერსონალურ მონაცემთა დამუშავების სპეციალური საფუძვლები;
- მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანო.

#### II ეტაპი:

- ადამიანური რესურსების დანაყოფების მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება;
- გამოძიების მიზნებისათვის პერსონალურ მონაცემთა დამუშავება;
- პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკური და ტექნიკური უსაფრთხოების დაცვის საკითხები;
- სასწავლო დაწესებულებების მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება;
- ჯანმრთელობის შესახებ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება.

## სასწავლო ამოცანები:

- სამინისტროს თანამშრომელთათვის პერსონალური ინფორმაციის დაცვისთვის საჭირო ცოდნა მიცემა და უნარების დამუშავება; რათა მონაწილეებმა უკეთ მართონ და გადაჭრან პერსონალური მონაცემების დაცვისა და საჯარო ინფორმაციის გაცემისა თუ პროაქტიულად გამოქვეყნების კუთხით მათი საქმიანობის პროცესში წამოჭრილი საკითხები/პრობლემები;
- ინფორმაციის თავისუფლებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხების ეფექტურად მართვის მნიშვნელობის ანალიზი სამინისტროს ინსტიტუციური განვითარების პროცესში.

## კურსის შედეგად განვითარებული უნარები:

- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - მონაწილეები შეძლებენ განსაზღვრონ პერსონალური მონაცემების დამუშავების ფარგლები, განსაზღვრონ ელექტრონული ბაზების გამოყენების, ბაზებში დაცული ინფორმაციის მოხმარების წესები და სხვა;
- კრიტიკული ანალიზის უნარი;

სწავლების ფორმა: კურსი.

## სწავლების მეთოდოლოგია :

- დისკუსია
- სავარჯიშოები
- დებატები
- მოწვეული სპიკერები
- სალექციო კურსი
- პრეზენტაციები

**სამიზნე აუდიტორია:** სამინისტროს (შესაძლებელია სხვა სამთავრობო უწყებების) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირები და პერსონალური მონაცემების დამუშავების ფუნქციის მქონე სტრუქტურული დანაყოფები.

**კურსის ხანგრძლივობა:** 10 დღე.

**მონაწილეთა რაოდენობა:** 18-20.

**სწავლების ენა:** ქართული.

**კოდი:** PIPD-2021.